KA040183454622421

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 503/სა **16 / ნოემბერი / 2021 წ.**

ბრძანება

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში გაწევრების პირობების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18^1 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, მიეცეთ შესაძლებლობა საჯარო სამსახურის ბიუროში წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2021 წლის 8 დეკემბრისა.

2.საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.csb.gov.ge) 2021 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნდეს კომისიაში გაწევრების პირობები დანართის შესაბამისად.

3.კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა

დანართი

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელ კომისიაში გაწევრების პირობები

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელ კომისიაში გაწევრების მიზნით, ვიწვევთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს.

„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

1. არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში:

ა) ორგანიზაციამ კომისიის წევრობის კანდიდატად უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წევრი, რომელიც არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი/მართვის ორგანოს წევრი ან ორგანიზაციის მიერ სპეციალურად უფლებამოსილი პირი;

ბ) ორგანიზაციის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრაციის მომენტიდან გასული უნდა იყოს არანაკლებ 5 წელი;

გ) ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა;

დ) ორგანიზაციის მიერ დაფუძნების მომენტიდან განხორციელებული პროექტები/ პროგრამები/საქმიანობა უნდა მოიცავდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგის/შემოწმების კომპონენტებს;

ე) ორგანიზაციის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლის სამართლის საქმისწარმოება/არ არსებობდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

2. აკადემიური წრის წარმომადგენლის შემთხვევაში:

მის მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც მოიცავს ანტიკორუფციულ საკითხებს.

3. გარდა ზემოაღნიშნულისა, არასამთავრობო ორგანიზაციისა და აკადემიური წრის წარმომადგენელი კომისიაში გაწევრების კანდიდატი:

ა) არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე;

ბ) არ უნდა იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ოჯახის წევრი ან/და ახლო ნათესავი;

გ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა/არ არსებობდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

კომისიაში გაწევრების მსურველი კანდიდატების განცხადება, ასევე ინფორმაცია/ დოკუმენტაცია კანდიდატის ან/და მის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ პირობებთან შესაბამისობის შესახებ, უნდა გაიგზავნოს საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@csb.gov.ge არაუგვიანეს 2021 წლის 8 დეკემბრისა.